ბელა სარია
ეთერ აფხაზავა

# ტესტები

## კითხვისა და წერის უნართა განვითარებისათვის

# II

დიოგენე
დაწყებითი
სკოლა

რედაქტორი თინათინ ბოლქვაძე

დიზაინერი და
ტექნიკური რედაქტორი დალი ჯვარშეიშვილი

ყდის დიზაინერი ანა ოსიაშვილი

**© გამომცემლობა „დიოგენე“, 2024, I გამოცემა**
**© ბელა სარია, ეთერ აფხაზავა**

**ყველა უფლება დაცულია**

ISBN 978-9941-11-893-7

გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, აფაქიძის ქ. 9, ტელეფონი 221 33 21

elfosta adm@diogene.ge

www.diogene.ge

## რედაქტორისაგან

ტესტების წინამდებარე კრებული ეფუძნება დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად მოთხოვნებს. თითოეული ტესტი კომპლექსურია. მოიცავს სხვადასხვა ჟანრის ტექსტებსა და მათზე დაყრდნობით შექმნილ დახურულ თუ ღია ტიპის, მრავალფეროვან, სახალისო ტესტურ და შემაჯამებელ-შემოქმედებით წერით დავალებებს.

ტესტის მიზნია დაეხმაროს მოსწავლეს ცოდნის გამოვლენასა და გაღრმავებაში.

შეთავაზებული ტესტური დავალებები მსწავლელს გაწაფული კითხვის, ტექსტში მოცემული ინფორმაციის გაგება-გააზრების, კრიტიკული შეფასებისა და პირადი დამოკიდებულების გამოხატვის უნარ-ჩვევათა განვითარებასა და სრულყოფაში ეხმარება.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწალეს აქვს საშუალება შეადგენოს ტესტში მოცემული საკთხავი მასალის ანალოგიური სტრუქტურის, ჟანრისა და ფუნქციური დანიშნულების მქონე მცირე ზომის ტექსტები.

ტესტური დავალებები მოსწავლეს ხელს უწყობს, კონკრეტული ამოცანების გადაჭრის მიზნით, ფუნქციურ კონტექსტზე დაყრდნობით, სწორად გამოიყენოს ენობრივ-გრამატიკული საშუალებები და ლექსიკა (სინონიმები, ანტონიმები, ფრაზეოლოგიზმები და სხვ.).

ტესტებს ახალავს თვალსაჩინო მასალა (სქემები, ილუსტრაციები, ტიპოგრაფიული მინიშნებები...), რომელიც საკითხავებით დაინტერესების ერთგვარ სტიმულს აძლევს მოსწავლეს.

ტესტური კრებულის უნიკალურობას აპირობებს ლექსიკური სამუშაოები, რომელთა შესრულება მოითხოვს სიტყვის აგებულებაზე, თხზვასა და სიტყვათწარმოებაზე დაკვირვებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას.

კრებულის ბოლოს დართულია სწორი პასუხები, რათა მოსწვლემ თავად შეძლოს შედეგების შემოწმება.

ვიმედოვნებთ, ბელა სარიასა და ეთერ აფხაზავას მიერ შექმნილი ტესტურ დავალებათა კებული თავის ფუნქციას შეასრულებს და მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი იქნება დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის.

პროფესორი

**თინათინ ბოლქვაძე**

ტესტი 1

გააფერადე

# დელფინი



ცხელოდა. ზღვის ნაპირი დამსვენებლებით იყო სავსე. უცებ წყალში დელფინი გამოჩნდა. ის ნაპირისკენ მოცურავდა. მოცურდა და სველ ქვიშაზე გაიშოტა. დელფინს მარჯვენა მხარეს გრძელი ჭრილობა ჰქონდა, ჭრილობაში კი რკინის ნატეხი ჩარჩენოდა.

დელფინარიუმის ექიმმა დელფინს რკინის ნატეხი ამოაძრო, ჭრილობა დაუმუშავა და გაუკერა.

ცოტა ხანს დელფინი მშვიდად იწვა, მერე ზღვაში შეცურდა და ტალღებში გაუჩინარდა.

ორი დღის შემდეგ ზღვაში დელფინების გუნდი გამოჩნდა. ნაპირს რომ მიუახლოვდნენ, სწორ ხაზზე გამწკრივდნენ და თამაში დაიწყეს. ზოგი მაღლა ხტებოდა, ზოგი ყვინთავდა, ზოგი რას აკეთებდა და ზოგი – რას. მერე ტალღებზე კუდები აატყლაშუნეს, თითქოს ტაშს უკრავენო, და გაშლილ ზღვაში გაცურეს.

**ტარიელ ხავთასი**

## კითხვები და დავალებები:

**1. ამოწერე თითო-თითო სიტყვა, რომლებშიც ხმოვნებიდან არის მხოლოდ:**

| ი | ი ი | ე | ე ე | ა | ა ა |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

**2. სიტყვების დასასრულებლად გამოიყენე მარცვლები: -ში ან -ზე.**

სველ ქვიშა______ გაიშოტა.

უცებ წყალ______ დელფინი გამოჩნდა.

ნაპირ______ ბევრ დამსვენებელს მოეყარა თავი.

**3. ა) დაუსვი კითხვა მოცემული წინადადების თითოეულ სიტყვას.**

ადამიანმა დელფინს უმკურნალა.

ბ) **წინადადების გასავრცობად გამოიყენე სიტყვები:** კეთილი, ლამაზი, დროულად **და დაწერე ეს წინადადება.**

**4. ნიმუშის მიხედვით დააკავშირე სიტყვები.**

| | |
|---|---|
| დელფინი | ტერარიუმი |
| თევზი | დელფინარიუმი |
| ქვეწარმავალი | პლანეტარიუმი |
| ვარსკვლავი | აკვარიუმი |

**5. შემოხაზე სწორი პასუხები. „დამსვენებლებით იყო სავსე“ — ნიშნავს, რომ:**

ა) ფეხის დადგმა ჭირდა;

ბ) გვერდს ადვილად აუქცევდი;

გ) ნემსი არ ჩავარდებოდა.

**6. რა გამოხატეს დელფინებმა თავიანთი საქციელით?**

ა) ამით მათ ადამიანებთან თავი მოიწონეს.

ბ) ასე მათ ადამინების მიმართ მადლიერება გამოხატეს.

გ) ასე ისინი ერთმანეთს გაეჯიბრნენ.

**7. ტექსტის მიხედვით დელფინები არიან:**

ა) ამაყები. ბ) გონიერები. გ) დაუზარლები.

**8. წარმოიდგინე და დაწერე, რას უამბობდა დელფინი მეგობრებს ადამიანების შესახებ. ამბავი დაიწყე ასე:**

ერთხელ ზღვაში მარტო დავცურავდი...

ტესტი 2

გააფერადე



## გაიხარეს

შემოდგომა იყო. ქეთი და თიკო პაპას ესტუმრნენ. ხეებს ფოთლები სცვიოდა. ვაშლი, მსხალი, ბროწეული და კომში უკვე დაეკრიფათ, რთველიც მოეთავებინათ. ბებიას ჩურჩხელაც გაეკეთებინა, – იმდენი... იმდენი... ძალიან ბევრი.

პაპამ ბავშვები ზვარში წაიყვანა და უთხრა:

– პაწაწინა მტევნებს მაინც იპოვით. აბა, მარჯვედ, ეძებეთ ყურძენი!

აი, ქეთიმ იპოვა ერთი პაწია მტევანი, თიკომაც იპოვა, კიდევ იპოვეს. ასე აგროვებდნენ მტევნებს. გობზე დაყარეს, კარგად გარეცხეს და პაპა-ბებიას მიართვეს.

– იფ, იფ, რა გემრიელი ყოფილა! – თქვა ბებიამ.

– ამათი მოტანილი რომაა, იმიტომ არის ასეთი ტკბილი, – უპასუხა პაპამ.

**ვახტანგ კახაძე**

**კითხვები და დავალებები:**

**1. ჩასვი თანხმოვანი: დ ან თ.**

მარჯვე　　კარგა　　იპოვე

**2. მოცემული მარცვლების გამოყენებით შეადგინე სამი სიტყვა. მარცვლები შეგიძლია გაიმეორო.**

გო　　ბი　　ჭი

________　________　________

**3. იპოვე სიტყვები სიტყვებში და ამოწერე.**

მსხალი ________ რთველი ________ ტკბილი ________

**4. იპოვე ზედმეტი სიტყვა თითოეულ რიგში და გახაზე.**

1. პაპა. ბებია. ძმა. დიდედა. ბაბუა.
2. დეიდა. გადია. მამიდა. ბიძია. და.
3. დეიდაშვილი. მამიდაშვილი. ბიძაშვილი. მეგობარი.

**5. დაწერე, რას უკავშირდება ჩამოთვლილი სიტყვები.**




**6. ჩამოთვლილთაგან რომელი ხეხილი არ ედგათ ბაღში პაპასა და ბებიას? შემოხაზე სწორი პასუხები.**

ა) ვაშლი; ბ) ქლიავი; გ) მსხალი;
დ) კომში; ე) ბროწეული; ვ) ფორთოხალი.

**7. რომელი წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს?**

| | წინადადებები | დიახ | არა |
|---|---|---|---|
| 1. | ბავშვები პაპასა და ბებიას რთველის დროს ესტუმრნენ. | | |
| 2. | ქეთი და თიკო ვენახში ბებიამ წაიყვანა. | | |
| 3. | რთველის შემდეგ ვაზზე შერჩენილი მტევნები ძალიან ტკბილია. | | |
| 4. | გოგონებმა დაკრეფილი ყურძენი კარგად გარეცხეს. | | |
| 5. | ქეთი და თიკო ბებიასა და ბაბუასთან ერთად ცხოვრობდნენ. | | |

**8. გაავრცე ყურძნის კრეფის ამბავი.**

**დაწერე:** როგორი დღე იყო; რას ამბობდნენ ბავშვები; როგორ გამოხატავდნენ სიხარულს.

| ამონარიდი მოთხრობიდან | გავრცობილი ამბავი |
|---|---|
| აი, ქეთიმ იპოვა ერთი პაწია მტევანი. თიკომაც იპოვა, კიდევ იპოვეს. | |

## გლეხკაცი და მგელი

იყო ერთი კაცი. ერთხელ კაცს მგელი შემოხვდა ტყეში და სთხოვა, პური მაჭამეო. კაცმა მისცა პურის ნატეხი. მგელმა გადასანსლა და დრუნჩი მოილოკა, ისე ძალიან ეგემრიელა. მერე კაცს ჰკითხა:

– მასწავლე, როგორ მოვიქცე, რომ პური ყოველთვის მქონდეს.

–კარგი, – დაეთანხმა კაცი, – ჯერ მიწა უნდა მოხნა.

– რომ მოვხნავ, ჭამა უკვე შეიძლება?

– არა, მერე უნდა ელოდო, სანამ არ გაიზრდება.

– რომ გაიზრდება, ჭამა უკვე შეიძლება?

– არა, მერე უნდა გალეწო.

– რომ გავლეწავ, ჭამა უკვე შეიძლება?

– არა, მერე უნდა დაფქვა.

– რომ დავფქვავ, ჭამა უკვე შეიძლება?

– არა, მერე უნდა გამოაცხო.

– რომ გამოვაცხობ, ჭამა უკვე შეიძლება?

– შეიძლება.

– ამდენ ხანს თუ ვიცადე, ის მირჩევნია, პური სულ არ გამოვაცხო. აქამდეც იოლად გავდიოდი და ამის შემდეგაც იოლად გავალო, – თქვა მგელმა და თავის გზას გაუდგა. კაცმა უყურა, უყურა დანანებით და სახლში წავიდა.



**ესტონური ზღაპარი**

**კითხვები და დავალებები:**

**1. დაალაგე ასოები ისე, რომ სიტყვები მიიღო.**

იემლგ ____________ იუპრ ____________

მწაი ____________ ეიხგლ ____________

**2. იპოვე სიტყვები სიტყვებში და ამოწერე.**

გლეხკაცი ____________ ბუნება ____________ ნაჭერი ____________

**3. რგოლებში ჩაწერილ სიტყვებს მოუძებნე შესატყვისები და დააკავშირე ისრებით.**

შეხვრიპა

ჩაყლაპა

მოწრუპა

შეჭამა

დალია

შესვა

გადასანსლა

შეახრამუნა

4. **დაწერე ნიმუშის მიხედვით.**
**ნიმუში: ის , ვინც ამბობს, არის მთქმელი.**

1. ის, ვინც აცხობს, არის ______________.

2. ის, ვინც ხნავს, არის ______________.

5. **შესასრულებელი სამუშაოს თანამიმდევრობის მიხედვით ჩაწერე უჯრედებში რიგის ნომრები.**

| გამოცხობა | დაფქვა | მკა | ხვნა | გალეწვა | გაცრა |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| | | | 1 | | |

6. **ჩამოთვლილთაგან რომელი თვისება ახასიათებს მგელს? შემოხაზე სწორი პასუხი.**

ა) გულგრილობა; ბ) სულსწრაფობა; გ) თვალთმაქცობა.

7. **გაიხსენე, რა იცი მგლის შესახებ.**

აღწერე ის. ______________________________

სად ბინადრობს?______________________________

რით იკვებება? ______________________________

8. **დაწერე თხზულება — რისი კეთება გიყვარს ყველაფერზე მეტად. დაიხმარე კითხვები:**

- ✓ რომელია შენი საყვარელი საქმიანობა?
- ✓ რით არის ის საინტერესო?
- ✓ ვინ შეგაყვარა ეს საქმე?
- ✓ როგორ შეძლებდი სხვისთვის შეგეყვარებინა ის?

ტესტი 4

გააფერადე

## გულკეთილი მარი



პაწია მარის ერთი ჩანთა ჰქონდა, რომელზეც დათუნიები ეხატა. ერთ დღეს სწორედ ის ჩანთა მეზობელმა დათაფლული გულაბი მსხლებით აუვსო.

გახარებულმა გოგონამ სახლისკენ მოკურცხლა.

ყველა შინ აღმოჩნდა: ბაბუა, ბებო, დედიკო, მამიკო და უმცროსი ძმა – ავთანდილი.

მარიმ ჩამოარიგა თითო მსხალი, მაგრამ თავისთვის აღარ დარჩა. მაშინ ბაბუამ გათალა თავისი მსხალი, შუაზე გაჭრა და ნახევარი მარის მისცა. ბებოც ასე მოიქცა, დედიკოც, მამიკოც, პატარა ავთანდილიც კი.

ასე ერგო ყველაზე მეტი მსხალი გულკეთილ მარის.

ვახტანგ კახაძე

### კითხვები და დავალებები:

**1. ამოწერე მოთხრობიდან თითო-თითო სიტყვა და შეავსე ცხრილი.**

| ერთმარცვლიანი | ორმარცვლიანი | სამმარცვლიანი | ოთხმარცვლიანი |
|---|---|---|---|
| | | | |

**2. დაწერე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები.**

უმცროსი ______________ გახარებული ______________

დაბლა ______________ შინ ______________

**3. სხვაგვარად როგორ იტყოდი?**

დათაფლული ______________ მოკურცხლა ______________

ერგო ______________ პაწია ______________

**4. დააკავშირე ისრებით წინადადებების ნაწილები და დასვი საჭირო სასვენი ნიშნები.**

1. მარის ჰქონდა ჩანთა, — მსხალი აიღე
2. როგორი გოგონაა მარი, — რომელზეც დათუნია ეხატა
3. მარი, მოირბინე, — რომელმაც სხვები გაახარა

**5. დაფიქრდი, რას გამოხატავს თითოეული წინადადება. პასუხისთვის შეარჩიე სიტყვები: აღტაცებას, შეწუხებას, დაინტერესებას.**

1. რამდენი მსხალი გაქვს ჩანთაში? ______________________
2. ვაი, მსხალი აღარ დამრჩა! ______________________
3. ყოჩაღ მარი, რა კარგად მოიქეცი! ______________________

**6. წინადადებებს, რომლებიც შეესაბამება ტექსტის შინაარსს, დაუწერე ✗.**

1. მარიმ მსხლები დაკრიფა. ☐
2. მარიმ მსხალი შუაზე გაჭრა. ☐
3. მარიმ მსხლები ყველას დაურიგა. ☐
4. მარის ყველაზე მეტი მსხალი ერგო. ☐

**7. ა) დაალაგე არასწორი თანამიმდევრობით მოცემული ნახატები. თითოეულს მიუწერე რიგითი ნომერი.**




**ბ) დაწერე პატარა მოთხრობა.**

**ბედნიერი ოჯახის ერთი კვირა დღე**

კვირა დილას მარის ოჯახმა აგარაკზე წასვლა გადაწყვიტა.

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

ტესტი 5

გააფერადე

# ყვავი და მელა



ერთხელ ყვავმა ყველის ნაჭერი იშოვა და ხის ტოტზე ჩამოჯდა. ეს რომ მელამ დაინახა, იფიქრა, ყველის ნაჭერს ხელში ჩავიგდებო და ყვავს ქება დაუწყო: რა ლამაზი ხარ! ფრინველთა მეფობა შენ დაგმშვენდებოდა ყველაზე მეტად! ალბათ, ხმაც კარგი გექნებაო. ყვავმა შეიფერა ეს ქება, პირი დააღო, დაიჩხავლა და ყველის ნაჭერი გაუვარდა.

მელამ მიირბინა, ყველი შესანსლა და ყვავს უთხრა:

— ჩემო ყვანჩალა, ღმერთს რომ შენთვის ჭკუაც მოეცა, მაშინ მეფობაში ხელს არაფერი შეგიშლიდაო!

პირფერის ქებამ კაცი არ უნდა გააყოყოჩოსო, — გვასწავლის არაკი.

ეზოპე

## კითხვები და დავალებები:

1. ამოიკითხე და ამოწერე სიტყვები.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფ | რ | ი | ნ | ვ | ე | ლ | ი |
| ე | ი | ხ | ვ | ი | რ | ა | ც |
| რ | ყ | ვ | ა | ვ | ი | რ | ი |
| მ | ე | ლ | ა | მ | ა | ი | ა |
| ა | ს | ი | დ | ა | თ | ვ | ი |

2. გახაზე, ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მარცვალი?

ვე ფრ ტარ ნტ დე სან ნენ

3. დაწერე შენი სიტყვებით, რა დაიჯერა და შეიფერა ყვავმა.

1. 

2. 

4. **გახაზე ზედმეტი სიტყვა.**

ამპარტავანი. გაბედული. ქედმაღალი. მედიდური. ყოყოჩა.

5. **როგორ ადამიანს გახსენებს ყვავი? შემოხაზე სწორი პასუხი.**

ა) გონიერს; ბ) თავმდაბალს; გ) ბრიყვს; დ) ხარბს.

6. **რა მიზნით შეაქო მელამ ყვავი?**

______________________________

7. **როგორ ადამიანს გახსენებს მელა? შემოხაზე სწორი პასუხი.**

ა) ერთგულს; ბ) პირფერს; გ) კეთილს; დ) გულისხმიერს.

8. **ა) სიტყვებს დასაწყისში დაურთე მი-, გა-, შე- მარცვლები.**

| | |
|---|---|
| ( ) ირბინა | ( ) ჭრის |
| ( ) ეხვეწა | ( ) უშენებს |
| ( ) ახარა | ( ) ხედავს |

**ბ) ამოწერე ის სიტყვები, რომლებშიც ორი ერთნაირი ხმოვანი მოიყრის თავს.**

______________________________

9. **შეაერთე ხაზებით მსგავსი შინაარსის ფრაზები.**

| | |
|---|---|
| 1. ხელში ჩაგდება | რაღაცის აკრძალვა |
| 2. ხელ-ფეხის შეკვრა | მოტყუებით მითვისება |

10. **გაიხსენე სხვა იგავ-არაკებიდან, ზღაპრებიდან მელაკუდას ოინები და დაწერე ერთ-ერთის შესახებ.**

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

ტესტი 6

გააფერადე



## მიიპარება ცუნცულით

მიიპარება ცუნცულით,
სად მიდის, ნეტავ, მელაო?
საქათმე უნდა?
კარები დაკეტილია ყველაო.

მელამ თქვა: იქნებ სოფელში
საქათმე დარჩათ ღიაო,
რა ჩემი ბრალი იქნება,
მე ხომ არ გამიღიაო?!

ჯემალ მაღრაძე

**კითხვები და დავალებები:**

**1. ყოველ სიტყვაში შეცვალე ერთი ასო ისე, რომ ახალი სიტყვები მიიღო.**

მე ______________ ღია ______________

კარი ______________ ბრალი ______________

**2. იპოვე დაჯგუფებული სიტყვების საერთო ნაწილი და გახაზე.**

| | |
|---|---|
| კარი | ბაღი |
| მეკარე | მებაღე |
| უკარო | ბაღნარი |

**3. წაიკითხე წინადადებები და ამოწერე კითხვითი სიტყვები.**

1. სად მიდის, ნეტავ, მელა? __________
2. მგლისგან ვინ დაიცავს ფარას? __________
3. როდის ყივის მამალი? __________
4. დეიდა ნუცას რამდენი ფრთა ქათამი ჰყავს? __________

**4. ა) მოცემულ წინადადებაში დაუსვი კითხვა თითოეულ სიტყვას.**

მელა მიიპარება.

________ ____________

**ბ) გაავრცე მოცემული წინადადება სიტყვებით, რომლებიც უპასუხებენ კითხვებზე: როგორი? საით? როგორ?**

______________________________________________

**5. დააჯგუფე კითხვების მიხედვით სიტყვები:** მელა, ქათამი, მებაღე, მწყემსი, საქათმე, ხბო, ბებია, პაპა.

ვინ? ______________________________

რა? ______________________________

**6. სიტყვების დასასრულებლად გამოიყენე მარცვლები: -კენ; -მდე; -თან.**

1. მელა სოფლის ___ მიიპარება. 2. სოფლა ___ დიდი მანძილია.

3. საქათმეს ___ მისვლა სახიფათოა.

**7. რით სურს მელას თავისი საქციელის გამართლება?**

ა) იმით, რომ საქათმის კარებს ღიას ტოვებენ.

ბ) იმით, რომ სოფელში ბევრი ქათამია.

გ) იმით, რომ უყვარს ქათმის ხორცი.

დ) იმით, რომ ქათმები არ უჯერებენ პატრონებს.

**8. წაიკითხე ცნობები მელას შესახებ. სწორ ინფორმაციას დაუწერე ✗, მცდარს — ✓.**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მელა გარეული ცხოველია. | |
| 2. | მელას მოშინაურება ადვილია. | |
| 3. | მელა მტაცებელი ცხოველია. | |
| 4. | მელას ლამაზი ბეწვი აქვს. | |
| 5. | მელა მწერებით იკვებება. | |
| 6. | მელას კარგი ყნოსვა და მხედველობა აქვს. | |
| 7. | მელა ნელა, ბაჯბაჯით დადის. | |

**9. გამოიყენე მელას შესახებ ტესტიდან მიღებული ცოდნა და მე-8 დავალება. დაწერე, რას უამბობდი მელას შესახებ შენს თანატოლებს. მოიფიქრე სათაური შენი ნაამბობისთვის.**

ტესტი 7

გააფერადე

## მამალი



ოდესღაც მამალი გარეული ფრინველი იყო და ტყეში ცხოვრობდა. ფრენა არ ეხერხებოდა და ბიბილოც თითრი ჰქონდა. მტაცებელ ფრინველებს ფუღუროში ემალებოდა და სულ შეშინებული იყო.

ერთხელ ადამიანმა უთხრა: – ეგ რა ცხოვრებაა?! სულ შეშინებული ხომ არ უნდა იყო? ჩემთან დარჩი, მე დაგიცავ, მტერს არ მოგაკარებ. სამაგიეროდ, დილაადრიან უნდა იყივლო და გამაღვიძო.

- ერიჰაა! – შესძახა მამალმა, – მე შენზე ადრე უნდა ავდგე?! არა, ძმაო, შენ – შენთვის, მე – ჩემთვის!

გადიოდა დღეები, ერთხელაც მამალმა ყანისკენ გასწია. უცებ ქორმა ჩამოიქროლა. ტყეში დამალვას ვეღარ მოასწრებდა, ამიტომ შეშინებული მამალი ადამიანისკენ გაიქცა და ყვირილი მორთო:

– მიშველე ... ყიყ-ლი-ყო!

ადამიანმა ქორი დააფრთხო და მამალი გადაარჩინა. სწორედ მაშინ იყო, დარცხვენილ მამალს ბიბილო რომ გაუწითლდა. ადამიანს მადლობა გადაუხადა და სამუდამოდ მასთან დარჩა.

**როდიონ ქორქია**

**კითხვები და დავალებები:**

1. **მამალს აქვს: ბიბილო, დეზი, ფრთა, თვალი, ბუმბული, ნისკარტი, ენა, ბრჭყალი.**
   **ამოარჩიე საჭირო სიტყვები და შეავსე კროსვორდი.**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მ | ა | მ | ა | ლ | ი | |
| | | | | ა | | | | |
| | | | | მ | | | | |
| | | | | ა | | | | |
| | | | | ლ | | | | |
| | | | | ი | | | | |

2. **დაასრულე სიტყვები.**

1. მამალი ტყე___ ცხოვრობდა. 2. მამალი ადამიან___ დარჩა.

3. ის ფრინველებს ფუღურო___ ემალებოდა.

3. დააკვირდი, რას გამოხატავს თითოეული წინადადება. იპოვე შესატყვისები და შეაერთე ისრებით.

| | | |
|---|---|---|
| **შეწუხებას** | 1. ერიჰაა! მე შენზე ადრე უნდა ავდგე?! | **შიშს** |
| **გაბრაზებას** | 2. ეგ რა ცხოვრებაა?! | **აღტაცებას** |
| **ამპარტავნობას** | 3. მიშველე ... ყიყ-ლი-ყოო! | **სიმშვიდეს** |

4. დაწერე ტექსტის მიხედვით:

1. როგორი იყო მამალი ადამიანის გაცნობამდე?

______________ ______________ ______________

2. რა თვისება გამოამჟღავნა მამალმა ადამიანთან საუბრისას?

ა) გონიერება; ბ) ამპარტავნობა; გ) სიფრთხილე; დ) სიკეთე.

5. ა) დაწერე, როგორ შეიცვალა მამალი მოთხრობის ბოლოს.

______________________________________________

ბ) რა გახდა ამის მიზეზი?

______________________________________________

6. ა) დაწერე 1 შინაური და 1 გარეული ფრინველის სახელი. შეავსე ცხრილი.

| შინაური ფრინველი | როგორია? | გარეული ფრინველი | როგორია? |
|---|---|---|---|
| | | | |

ბ) დაწერე, რომელ გარეულ ფრინველს მოიშინაურებდი და რატომ.

______________________________________________

______________________________________________

7. შენ რომელი შინაური ცხოველი გიყვარს? წარმოიდგინე და დაწერე პატარა ამბავი შენი და მისი თავგადასავლის შესახებ.

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

ტესტი

8

გ ა ა ფ ე რ ა დ ე



## სირცხვილის აშორება

შუადღე იყო. ზაფხულის პაპანაქებაში სულს ვერ მოითქვამდა კაცი. პატარა სანდრო სახლისკენ მიიჩქაროდა.

გზაზე, მეზობლის ღობესთან, წითლად დაკუნწლული ვაშლები შენიშნა. თითქოს ეძახდნენ: ამოხტი, ჩაგვკბიჩე და პირი ჩაიტკბარუნეო.

სანდრო ყოყმანობდა, ვაშლის უნებართვოდ მოკრეფა არ სურდა, ბოლოს ვეღარ მოითმინა, სულმა წასძლია და ოთხი ვაშლი მოწყვიტა.

მიდის სანდრო, მიაქვს წითლად დაბრაწული ვაშლები, მაგრამ რატომღაც არ უხარია, წუხს.

უცებ შეჩერდა, რაღაც აზრი მოუვიდა და მეზობლის სახლისკენ მოკურცხლა.

— შენა ხარ, ჩემო სანდრო? — ჰკითხა დიასახლისმა, — რა გინდა, გენაცვალე?

— ნუ გეწყინებათ, თქვენი ვენახის ღობესთან ოთხი ვაშლი მოვწყვიტე. სამაგიეროს სიკეთით გადაგიხდით.

— შეგარგოს ღმერთმა, — უთხრა კეთილმა დიასახლისმა.

გახარებული სანდრო შინისკენ მიდიოდა და წითელი ვაშლით პირს იტკბარუნებდა.

**იაკობ გოგებაშვილი**

**კითხვები და დავალებები:**

**1. ა) რამდენი მარცვალია თითოეულ სიტყვაში?**

პატარა ◯ სულს ◯ სანდრო ◯

მოიჩქაროდა ◯ მოითქვამდა ◯

**ბ) ჩამოთვლილთაგან რომელი სიტყვის გადატანა არ შეიძლება?**

______________________

**2. სხვანაირად როგორ იტყოდი?**

1. სულს ვერ მოითქვამდა კაცი. ______________________
2. სულმა წასძლია. ______________________
3. პირი ჩაიტკბარუნა. ______________________

**3. რას ნიშნავს „ყოყმანობდა“?**

ა) ეკითხებოდა. ბ) ეჩხუბებოდა. გ) მერყეობდა.

**4. რა აწუხებდა სანდროს?**

**5. როგორი ბიჭია სანდრო? იმსჯელე, რატომ ფიქრობ ასე.**

**6. დაუწერე ✘ წინადადებებს, რომლებიც შეესაბამება ტექსტის შინაარსს.**

1. ზაფხულის პაპანაქება იდგა. ☐
2. სანდროს მეზობელმა ვაშლები მოუკრიფა. ☐
3. სანდრო ამაყი და გახარებული მიაბიჯებდა. ☐
4. დიასახლისმა სანდრო დალოცა. ☐
5. სანდრომ წითელი ვაშლით პირი ჩაიტკბარუნა. ☐

**7. გაიხსენე ერთი შემთხვევა, როდესაც ყოყმანის შემდეგ რაღაც გადაწყვეტილება მიიღე. დაწერე:**

- ✓ რა იყო ყოყმანის მიზეზი.
- ✓ შეაფასე შენი გადაწყვეტილება, სწორად მოიქეცი, თუ — არა.

ტესტი 9

გ
ა
ა
ფ
ე
რ
ა
დ
ე



## რამ გაზარდა?

ვეებერთელა საზამთრო
მოაგორეს ბაზრიდან.
უკვირს პაპას:
ამ გოლიათს
ნეტავი რა გაზრდიდა?
დედიკომ თქვა:
— კარგი მიწა!
ბებიკომ თქვა:
— წყალიო!
დეიდამ თქვა:
— მზე კაშკაშა!
დამ:
— ამინდი წყნარიო!
საზამთროს კი გაეცინა
მთელი გულით, არ გჯერათ?
თქვა:
— გამზარდა ტკბილმა კაცმა,
დაელოცოს მარჯვენა!

**ცირა ქიტიაშვილი**

**კითხვები და დავალებები:**

**1. ამოწერე ლექსიდან სიტყვა, რომელშიც ყველაზე მეტი ასო-ბგერაა.**

______________________________

**2. იპოვე სიტყვები სიტყვებში.**

ბოსტანი ______________ გოლიათი ______________

დეიდა ______________ ტკბილი ______________ წყალი ______________

**3. ამოწერე ლექსიდან 2 სიტყვა, რომლებითაც საზამთროს სულიერის თვისებები მიეწერება.**

______________________________

**4. ა) ამოწერე ლექსიდან მსგავსი მნიშვნელობის სიტყვების წყვილი.**

______________ ______________

**ბ) გაიხსენე და დაწერე ამავე მნიშვნელობის კიდევ სხვა ორი სიტყვა.**

______________ ______________